პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 251 (9719) | პარასკევი, 23 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ბოლო მოულონ ვაჭრობისა და სავაჭრო მუშაკებისადმი ჯერ კიდევ არსებულ უყურადღებო დამოკიდებულებას და შეუქმნან მათ ამხანაგური დახმარებისა და ჯეროვანი პატივისცემის ვითარება, ახსოვდეთ, რომ საბჭოთა ვაჭრობა სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია, ხოლო საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები სოციალიზმის მშრომელთა ერთ-ერთი რაზმია, რომელნიც უნდა ასრულებდნენ ხალხის ყოველდღიური მომსახურების საპატიო ამოცანას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

სახალხო მოხმარების ყველა საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მკვეთრად გაიდიდებისა და მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელი ამოცანის გადაჭრაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქონელბრუნვის ყოველი ღონისძიებით გაშლას და სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

ვაჭრობა სოციალიზმის დროს არის და დიდხანს იქნება სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმა, რომლის საშუალებითაც დაკმაყოფილდება მშრომელთა მზარდი პირადი მოთხოვნილებანი.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ სეროზულად წავწიოთ წინ საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საქმე და უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველვყოთ მოსახლეობისათვის ყველა საჭირო საქონლის შეუფერხებელი მიყიდვა თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სასოფლო რაიონში, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მყიდველთა მომსახურება და უზრუნველვყოთ მომხმარებლების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, გავშალოთ თანამედროვე, ტექნიკურად აღჭურვილ სავაჭრო საწარმოთა ფართო ქსელი და მოვაწყოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული მოხმარების საგნების სულ უფრო მზარდი მასის სწრაფად მიწოდება მომხმარებლისათვის.

საქონელბრუნვის განუხრელი ზრდისას ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილება მთელ რიგ საქონელზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება მთლიანად. ვაჭრობის ორგანიზაციაში არის დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობის შემდგომ განვითარებას და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებას.

სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას და სერიოზულ შეცდომებს უშვებენ საქონლის განაწილებასა და შეტანაში. მთელ რიგ რაიონებში დღემდე არ არის მოგვარებული მოსახლეობისათვის საჭირო ყველა საქონლის ვაჭრობა, ხდება შეფერხება იმ საქონლის ვაჭრობაში, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ახდენენ ზეგავლენას მრეწველობაზე მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში და საკმაოდ არ ეწევიან ბრძოლას იმ საქონლის ხარისხისათვის, რომელსაც მრეწველობა აწვდის სავაჭრო ქსელს.

არსებითი ნაკლოვანებებია საცალო სავაჭრო ქსელის ორგანიზაციასა და განლაგებაში.

სავაჭრო საწარმონი სუსტად არიან აღჭურვილნი თანამედროვე სავაჭრო დაბეგვარი მოწყობილობით და ინვენტარით და არ მოეპოვებათ საჭირო საწყობები საქონლის შესანახად, დასახარისხებლად და იმისათვის, რომ გეგმაზომიერად მიაწოდონ იგი სავაჭრო ქსელს. დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სხვა შრომატევადი სამუშაოები საწყობებში მექანიზებული არ არის.

საზოგადოებრივი კვების საქმის ორგანიზაცია ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს. მთელ რიგ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და მუშათა დაბებში საკმარისი არ არის სასადილოები, საჩაიეები, სასაუზმეები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები. საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში ცუდად ზრუნავენ მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რომლებიც იძულებული არიან დიდი დრო დახარჯონ სადილისა და საუზმის მისაღებად. კერძების ასორტიმენტი ხშირად ერთფეროვანია და დამზადებული სადილების ხარისხი დაბალია. საზოგადოებრივი კვების საწარმოები დამაკმაყოფილებლად არ არიან აღჭურვილი ტექნოლოგიური და მაცივარი მოწყობილობით, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში კარგი სასადილო ჭურჭლით.

სოფლად ვაჭრობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს მის მიმართ. სოფლებში დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის, აგრეთვე სამეურნეო მნიშვნელობის საქონლის: ხე-ტყის, აგურის, კრამიტისა და სხვ. საქონლის გაყიდვა.

ბევრ რაიონულ ცენტრში არ არის სამომხმარებლო კოოპერაციის უნივერსალური მაღაზიები. ცუდია პატარა სოფლების მოსახლეობის მომსახურება, რომლებშიც არ არის მუდმივი სავაჭრო ქსელი.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები საკმაოდ არ უზრუნველყოფენ, რომ მეპაიეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივების მუშაობაში და ვაჭრობისადმი კონტროლში.

დიდი ნაკლოვანებებია საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლაში. ცუდად არის მოწყობილი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გაყიდვა, რომლებიც ესაჭიროება ქალაქის მოსახლეობას.

საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

I. საქონელბრუნვის შემდგომი განვითარებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

1. გადიდდეს 1954 წელს 1950 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 72 პროცენტით (შესადარ ფასებში) ნაცვლად 70 პროცენტისა, რაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1955 წლისათვის, ე. ი. ხუთწლიანი გეგმის დავალება გადაჭარბებულ იქნას 1954 წელსვე; უზრუნველყოფილ იქნას საცალო საქონელბრუნვის გადიდება 1955 წელს დაახლოებით ერთიორად 1950 წელთან შედარებით.

2. მნიშვნელოვნად გადიდდეს 1954 და 1955 წლებში მოსახლეობისათვის სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიყიდვა და გათვალისწინებულ იქნას 1955 წელს ხუთწლიანი გეგმით დაწესებული დავალების ნაცვლად საქონლის საბაზრო ფონდების ზრდა 1950 წელთან შედარებით დაახლოებით შემდეგი ოდენობით:

	ხუთწლიანი გეგმით დაწესებული მატება 1955 წლისათვის	ახალი დავალება 1955 წლისათვის
ხორცის პროდუქტები	90%	2,3-ჯერ
თევზის პროდუქტები	70%	2,1-ჯერ
ერბო-კარაქი	70%	1,9-ჯერ
ყველი	2-ჯერ	2,2-ჯერ
მცენარეული ზეთი	2-ჯერ	2,6-ჯერ
შაქარი	2-ჯერ	2,3-ჯერ
ყურძნის ღვინო	2-ჯერ	2,4-ჯერ
ტანისამოსი	80%	2,4-ჯერ
ქსოვილები	70%	1,8-ჯერ
მათ შორის შალისა და აბრეშუმის ქსოვილები		2,4-ჯერ
წინდები	2-ჯერ	2,2-ჯერ
ტრიკოტაჟი	2,2-ჯერ	2,7-ჯერ
ავეჯი	3-ჯერ	4,0-ჯერ
ლითონის ჭურჭელი	2,5-ჯერ	4,9-ჯერ
ველოსიპედები	3,5-ჯერ	5,5-ჯერ
საკერავი მანქანები	2,4-ჯერ	5,1-ჯერ
რადიომიმღებები და ტელევიზორები	2-ჯერ	4,4-ჯერ
საათები	2,2-ჯერ	2,6-ჯერ
მათ შორის მაჯის საათები		4-7-ჯერ
საოჯახო მაცივრები, სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები	რამდენჯერმე	10-ჯერ და მეტად

გათვალისწინებულ იქნას 1956 წლისათვის ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბაზრო ფონდების შემდგომი გადიდება 1950 წელთან შედარებით დაახლოებით შემდეგი ოდენობით:

ხორცის პროდუქტები	2,6-ჯერ
თევზის პროდუქტები	2,3-ჯერ
ერბო-კარაქი	2,1-ჯერ
მცენარეული ზეთი	2,8-ჯერ
შაქარი	2,4-ჯერ
ქსოვილები	2-ჯერ
ფეხსაცმელი	2-ჯერ
საკერავი მანქანები	5,9-ჯერ
ველოსიპედები	6-ჯერ
რადიომიმღებები და ტელევიზორები	5,3-ჯერ
ავეჯი	4,8-ჯერ

3. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს:

ა) მოაწყოს საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების გულმოდგინე შესწავლა და ყოველმხრივი აღრიცხვა ამ საფუძველზე უზრუნველყოს მრეწველობისათვის დაკვეთების წარდგენა, საქონლის რესურსების სწორი განაწილება და საქონლის შეზიდვა ჩვენი ქვეყნის რაიონებში, ამასთან გათვალისწინოს სეზონური მოთხოვნილება, მოსახლეობის ეროვნული და საყოფაცხოვრებო თავისებურებანი.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების შესასწავლად გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ყველა ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციის — საბითუმო და საცალო, დიდი მაღაზიების, საბითუმო ბაზების შესაძლებლობანი, სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადები საქონლის მიწოდების შესახებ, მოსახლეობის მოთხოვნილების ცვლილების აღმრიცხველი კორესპონდენტთა ქსელის მონაცემები, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებანი, რომლებიც გამოითქვა მყიდველთა კონფერენციებზე, რასაც აწყობენ სავაჭრო ორგანიზაციები.

ბ) მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე იმ სამინისტროებთან ერთად, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, პერიოდულად გადასინჯოს ბაზრისათვის მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი და დადგენილი წესით შეიტანოს საჭირო ცვლილებანი წარმოების გეგმებში, რათა წარმოებიდან მოხსნას საქონელი, რომელსაც მოსახლეობა არ მოითხოვს, და შეცვალოს იგი უკეთესი ნიმუშის საქონლით;

გ) სერიოზულად გაუმჯობესოს საბითუმო ვაჭრობა და საბითუმო ბაზების მუშაობა, გააძლიეროს მათი პასუხისმგებლობა მრეწველობისაგან მიღებული საქონლის ხარისხისათვის; სამრეწველო საწარმოთა მიერ სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების შესრულებისადმი, სამრეწველო საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის მხრივ ვაჭრობის მოთხოვნათა შესრულებისადმი და საქონლის მიწოდების ძირითადი პირობების დაცვისადმი კონტროლისათვის იყოლიოს საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის ინსპექტორები. ასეთ ინსპექტორებად დაინიშნონ მაღალკვალიფიციური მუშაკები, რომელთაც აქვთ სპეციალური მომზადება და მუშაობის გამოცდილება;

დ) მოაწყოს ქსოვილების, ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ვაჭრობის მთავარ სამმართველოებთან საასორტიმენტო კაბინეტები და ამ კაბინეტებს დააკისროს მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონლის ასორტიმენტის შესწავლა, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის წინადადებათა მომზადება და ახალი ნაწარმის პოპულარიზაცია.

ე) გაითვალისწინოს 1954 წლისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლის განაწილების გეგმის პროექტით ქსოვილების, ტანისამოსის, ფეხსაცმლისა და სხვა სამრეწველო, აგრეთვე სასურსათო საქონლის ნორმატიული გარდამავალი მარაგის შექმნა სამინისტროს საბითუმო, გამოსასვლელ და სავაჭრო ბაზებში, მარაგისა, რომელიც უზრუნველყოფს საცალო სავაჭრო ქსელის რეგულარულ მომარაგებას სრული ასორტიმენტის საქონლით.

4. რადგან საბაზრო საქონლის დაკვეთების შეზღუდვის (და ლიმიტების) არსებული პრაქტიკა ბევრ შემთხვევაში იწვევს იმას, რომ მრეწველობა სავაჭრო ორგანიზაციებს თავს ახვევს საქონელს, რომელიც არ შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნას, იწვევს ზედმეტი საქონლის დაგროვებას და ხელს უშლის მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების ამოცანის გადაჭრას, დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზს შეიტანონ საჭირო ცვლილებები სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მრეწველობისათვის დაკვეთების მიცემის მოქმედ წესში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ დეფიციტური სახეობისა და სორტის საქონლის წარმოების გადიდება, რათა ლიკვიდირებულ იქნას სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების დალიმიტება.

დაევალოს სავაჭრო ორგანიზაციებს მტკიცე კონტროლი გაუწიონ საქონლის მიწოდებას დაკვეთების შესაბამისად და არ მიიღონ საქონელი, რომელიც არ შეესაბამება დაკვეთილ ასორტიმენტს და რომლის მოთხოვნაც არ არის.

დაევალოს საწარმოთა დირექტორებს და საწარმოთა გასაღების განყოფილებების უფროსებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ დაწესებული ასორტიმენტით და მაღალი ხარისხის საქონლის დროზე და სრულად მიწოდება სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათი დაკვეთების შესაბამისად.

5. რადგან საქონლის მიწოდების მოქმედი ძირითადი პირობები არ შეესაბამებიან საქონლის ხარისხისათვის ბრძოლის გაძლიერების ამოცანას, დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ მიწოდებელ სამინისტროებთან ერთად და დაამტკიცონ დადგენილი წესით საქონლის მიწოდების ახალი ძირითადი პირობები, რომლებშიც გაითვალისწინონ მიმწოდებლებისა და სავაჭრო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გადიდება საქონლის ხარისხის, ასორტიმენტისა და მიწოდების ვადისათვის.

6. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მოაწყოს, ფაბრიკაში შეკერილი ტანსაცმლის გაყიდვასთან ერთად, მოსახლეობისათვის უმაღლესი ხარისხის ტანსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთებით შეკერვა და გაყიდვა სავაჭრო ორგანიზაციების ატელიეებსა და სახელოსნოებში ატელიეების მასალით და დამკვეთლების მასალით. ამასთან დაკავშირებით დაევალოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს გადასცეს 1954 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ინდივიდუალური შეკერვის ატელიეების არსებული ქსელი და ინდივიდუალური შეკერვის სახელოსნოები.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალურ საბჭოსა და ცენტროსოიუზს გაადგინონ მოქალაქეთა დაკვეთებით ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში და სერიოზულად გაუმჯობესონ ამ საქმის დაყენება.

7. წიგნის ვაჭრობის შემდგომი განვითარების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გახსნას 1954-1955 წლებში წიგნის მაღაზიები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონულ ცენტრში და გაადიდოს წიგნის მაღაზიების ქსელი ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

დაევალოს ცენტროსოიუზს წიგნების გაყიდვა სოფლებში 1955 წელს გაადიდოს ერთიორად 1953 წელთან შედარებით.

8. მიეცეთ უფლება სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს შექმნან ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში დამოუკიდებელი სამმართველოები ან განყოფილებანი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვისათვის და იმისათვის, რომ უზრუნველყონ კონტროლი ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სათანადო ხარისხისა და ასორტიმენტის ამ საქონლის მიწოდებისადმი.

დაევალოს ჩამოთვლილ სამინისტროთა მინისტრებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისადმი და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდებისადმი კონტროლი დააკისრონ მინისტრის პირველ მოადგილეს.

9. დაევალოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს და სხვა სამრეწველო სამინისტროებს 1954 წლის 1 იანვრამდე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და ცენტროსოიუზის მონაწილეობით გადასინჯონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური პირობები, რომლებიც არ შეესაბამება სამრეწველო საქონლის შეფუთვისა და მარკირების თანამედროვე მოთხოვნებს, მხედველობაში იქონიონ ამ საქმის სერიოზული გაუმჯობესება და თავისი წინადადებანი წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასკვნები წარმოდგენილ წინადადებებზე, რომლებიც მოითხოვენ მთავრობის გადაწყვეტას.

10. დაევალოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს, მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, რუსეთის სფსრ ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის ცენტრალურ საბჭოს მომამზადონ 1954 წლის 1 იანვრამდე და გამოსცენ 1954 წლის პირველ ნახევარში ფართო მოხმარების საქონლის კატალოგები და ალბომები ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილებას.

11. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა მთლიანად გაყიდონ და გადაამუშაონ სავაჭრო ორგანიზაციებში დაგროვებული წარსულ წლებში გამოშვებული მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონელი, 1953 წლის IV კვარტალში მოახდინონ ამ საქონლის ფასდაკლება საშუალოდ 30 პროცენტით სავაჭრო ორგანიზაციების 1953 წლის მოგების ანარიცხების შემცირების, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციაში — მოგების ხარჯზე, 600 მილიონამდე მანეთი საერთო თანხისა, აქედან სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში — 400 მილიონი მანეთი და სამომხმარებლო კოოპერაციაში — 200 მილიონი მანეთი.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ 1953 წლის ოქტომბერში მოახდინოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროსაგან მიღებული, რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვებული საქონლის (ფეხსაცმელი, შეკერილი ნაწარმი, ტყავის გალანტერია და სხვ). ფასდაკლება 90 მილიონი მანეთის საერთო თანხისა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს 1953 წლის მოგების ანარიცხების შემცირების გზით.

დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად 7 დღის ვადაში დაადგინოს აღნიშნული საქონლის ფასდაკლების წესი.

12. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ საზოგადოებრივი კვების საწარმოები:

მიიღონ ღონისძიებანი, რათა ყოველნაირად განავითარონ და გააუმჯობესონ საზოგადოებრივი კვების საქმე ჩვენს ქვეყანაში და უზრუნველყონ უახლოეს 2-3 წელიწადში კარგად მოწყობილი სასადილოების, რესტორანების, სასაუზმეების, საჩაიეებისა და ბუფეტების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, აგრეთვე გააუმჯობესონ დამზადებული კერძების ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი და აამაღლონ მომმხმარებელთა მომსახურების კულტურა.

უზრუნველყონ საქმლის მომზადების პროცესების ფართო მექანიზაცია, დამამზადებელი სასადილოების მოწყობა საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოსამარაგებლად ნახევარფაბრიკატებით და დიდ ქალაქებში სასაუზმეებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება მომხმარებელთა სწრაფი და კულტურული მომსახურების მიზნით.

13. სახალხო კვების საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს განამტკიცოს და გაფართოოს 1954 წელს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ქალაქ მოსკოვში, აგრეთვე მისი ფილიალი ქალაქ კიევში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მუშაკთა საერთო რიცხვიდან.

14. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებს მიიღონ ღონისძიებანი მიმოქცევის ხარჯების შესამცირებლად, ამასთან გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება:

მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებით, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების, საქონლისა და ტარის დანაკარგის შემცირებით, აგრეთვე დამხმარე პერსონალის შემცირებით;

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დახერგვით, დაფასოვებული საქონლის გაყიდვის მნიშვნელოვანი გაფართოებით, ტრანსპორტის სწორი გამოყენებითა და ავტოსაჭაპანო ტვირთზიდვის გაიაფებით;

საწარმოებიდან და გამოსასვლელი ბაზებიდან საქონლის უშუალოდ დიდი მაღაზიებისა და სავაჭრო ორგანიზაციათა ბაზებისათვის სატრანზიტო გაგზავნის გაფართოებით.

15. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მანქანათმშენებლობის ქარხნებში ხორცის პროდუქტების, თევზეულის, ერბო-კარაქის, ტანსაცმლისა და სხვა საქონლის გადასაზიდ სპეციალიზებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გაკეთების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების 1954 წლის გეგმით, რომ გამოიყოს საჭირო რაოდენობით ავტომობილები და მისაბმელები, რომლებსაც გაუკეთდეს სპეციალიზებული ძარები აღნიშნული საქონლის გადასაზიდავად.

16. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიიღოს ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციის მუშაობა ვაჭრობის წესების, საცალო ფასების, მყიდველებისათვის საქონლის გაცემის და მიყიდულ საქონელში მათთან ანგარიშსწორების სისწორის დაცვისადმი კონტროლის საქმეში, რომ უზრუნველყოფილ იქნას მყიდველთა ინტერესების მტკიცედ დაცვა. ფართოდ შემოღებულ იქნას პრაქტიკაში სავაჭრო ქსელის მასობრივი შემოწმების მოწყობა და ამ საქმეში ჩაბმულ იქნან პროფკავშირთა აქტივი, სადუქნო და სასადილოს კომისიათა, სამომხმარებლო კოოპერაციის სარევიზიო კომისიათა წევრები და ვაჭრობის მუშაკთა აქტივი.

17. გავრცელდეს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამინისტროების მუშათა მომარაგების მთავარ სამმართველოთა ორგანიზაციებსა და საწარმოებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 16 იანვრის № 221 დადგენილების 50-ე და 51-ე პუნქტების იმ ნაწილის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად ზეგეგმითი მოგების 25 პროცენტის გამოყენებას და ზეგეგმითი მოგების ანარიცხების ბიუჯეტთან გადაანგარიშების წესს.

18. დაევალოს სახელმწიფო ბანკს შეიტანოს ცვლილებანი სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტების მოქმედ წესში:

ა) მისცეს რენტაბელურად მომუშავე სავაჭრო ორგანიზაციებს, რომელნიც ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებს, კრედიტი 30-მდე დღის განმავლობაში საქონლის ასანაზღაურებლად, როცა მათ აქვთ ვადაგასული დავალიანება წინათ მიღებული სესხების მიხედვით;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტების დროს შეამციროს საკუთარი სახსრების მონაწილეობის ოდენობა პრეტენზიათა მიხედვით სადებიტორო დავალიანების თანხით, აგრეთვე სასამართლოს და არბიტრაჟის მიერ მისჯილი თანხით. ამასთან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში საკუთარი საბრუნავი სახსრების მონაწილეობის ოდენობის შემცირება შეიძლება მოხდეს იმ პირობით, რომ შენარჩუნებულ იქნას ამ სახსრების დაწესებული მინიმალური ოდენობა საქონლის ანაზღაურებაში.

II. სავაჭრო ქსელის განვითარების შესახებ

19. იმის მიხედვით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სასოფლო რაიონში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსახლეობისათვის საჭირო ყველა საქონლის გაყიდვა, და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის გამო საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ 1954-1956 წლებში ქალაქებსა და სოფლებში აშენდეს და გაიხსნას:

ა) 40 ათასი მაღაზია, აქედან 10,8 ათასი 1954 წელს, 13,5 ათასი 1955 წელს და 15,7 ათასი მაღაზია 1956 წელს. მათ შორის სსრ კავშირის ქალაქებში, მუშათა დაბებსა და რაიონულ ცენტრებში გაიხსნას 9 ათასი სპეციალ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

ლიზებული მაღაზია, აქედან 3 ათასი სასურსათო და 6 ათასი სამრეწველო საქონლის მაღაზია; 100 დიდი და საშუალო უნივერმაღი საოლქო ცენტრებსა და სამრეწველო ქალაქებში;

ბ) 11.000 რესტორანი, სასადილო, სასაუზმე, კაფე, საჩაიე და ბუფეტი, მათ შორის 1954 წელს — 3.150, 1955 წელს — 3.700 და 1956 წელს — 4,150, აქედან:

	1954 წელ	1955 წელ	1956 წელ
რესტორანი და სასადილო	1.300	1.350	1.500
საჩაიე	350	350	400
სასაუზმე, კაფე და ბუფეტი	1.500	2.000	2.250

ახალი მაღაზიები და სასადილოები ქალაქებში გაიხსნას უმთავრესად ახალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში, ხოლო ქალაქებსა და მუშათა დაბებში, სადაც ხორციელდება ერთსართულიანი სახლების მშენებლობა, და რაიონულ ცენტრებში — სავაჭრო საწარმოებისათვის აშენდეს სპეციალური შენობები. ახლად აშენებული სავაჭრო საწარმოები კარგად უნდა იყოს მოწყობილი და სავსებით შეესაბამებოდეს მყიდველთა კულტურული მომსახურების მოთხოვნებს.

გაიშალოს დატარებითი ვაჭრობა და ამ მიზნით 1954-1956 წლებში საჭირო რაოდენობით მოეწყოს ავტოდუქნები და ავტოცისტერნები იმ დასახლებული პუნქტების მომსახურებისათვის, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი სავაჭრო ქსელი.

20. იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას საწყობთა და მაცივართა მეურნეობის განვითარების ჩამორჩენა და შეიქმნას პირობები მოხმარების ადგილებში საქონლის საჭირო მარაგის დასაგროვებლად მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, დამტკიცდეს 1954-1956 წლებისათვის მაცივრების, სასურსათო და სამრეწველო საქონლის საწყობების, კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავების მშენებლობის პროგრამა შემდეგი მოცულობით:

მაცივრები 575 ათასი ტონა ტევადობისა, საწყობები გასტრონომიული და საბაკალეო საქონლის შესანახად 310 ათასი ტონა ტევადობისა, საწყობები სამრეწველო საქონლის შესანახად 400 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით, ტევადობანი 30 ათასი ტონა მცენარეული ზეთის შესანახად, კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავები 700 ათასი ტონა ტევადობისა, ადგილობრივი სავაჭრო კანტორებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების წვრილსაბითუმო საწყობები 1200 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით.

21. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაუმტკიცოს 1954-1956 წლებისათვის თვითეულ სამინისტროსა და უწყებას, რომელსაც აქვს სავაჭრო ქსელი, მაღაზიების, უნივერმაღების, საწყობების, მაცივრების მშენებლობისა და სპეციალიზებული მაღაზიების გახსნის გეგმები ამ დადგენილების მე-19 და მე-20 პუნქტებით დაწესებულ დავალებათა მიხედვით.

22. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ სავაჭრო ქსელი, განახორციელონ 1954 წლიდან მაღაზიების მშენებლობა ტიპური პროექტების მიხედვით, რომლებსაც სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო ამტკიცებს, ან ამ სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტების მიხედვით; სპეციალიზებული მაღაზიები გახსნან იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია თვითეული ტიპის სპეციალიზებული მაღაზიისათვის.

23. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყოს სავაჭრო ქსელის უფრო სწორად განლაგება ქალაქებში მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად და მიიღოს ღონისძიებანი ამ საქმეში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, აგრეთვე განახორციელოს სავაჭრო საწარმოთა გამსხვილების ღონისძიებანი იქ, სადაც ეს გამოწვეულია მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებით.

24. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) იმ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განხორციელებისას, რომელთა პირველ სართულებში დაპროექტებულია სავაჭრო საწარმოები, შეიმუშაონ ამ სახლების პირველ სართულებში სავაჭრო საწარმოთა შენობების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მთელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებასთან ერთად იმ საპროექტო სამუშაოთა გეგმის ანგარიშში, რომლებიც მენაშენისათვის სრულდება;

ბ) დაამთავრონ სამშენებლო სამუშაოები პირველ სართულებში არა უგვიანეს 3 თვისა საცხოვრებელი სახლის ყველა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოს დამთავრებამდე იმ ანგარიშით, რომ სავაჭრო საწარმოები სავაჭრო ორგანიზაციებმა გახსნან საცხოვრებელ სახლში მობინადრეთა შესახლებასთან ერთად;

გ) გაათავისუფლონ და გადასცენ 1954 წლის 1 მაისამდე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და ცენტროსოიუზის ორგანიზაციებს მაღაზიების, სასადილოების, რესტორანების, ბაზების, საწყობებისა და სხვა სავაჭრო საწარმოების შენობები, რომლებიც ამჟამად დაკავებულია არადანიშნულებისამებრ, ამასთან 1954 წლის 1 ივნისისათვის წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ანგარიში ამ დავალების შესრულების შესახებ, და შემდგომში არ დაუშვან სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სავაჭრო შენობების ჩამორთმევა.

დ) თავის დროზე გამოყონ მიწის ნაკვეთები ახალი სავაჭრო საწარმოების მშენებლობისათვის, ამასთან გაითვალისწინონ მაღაზიების სწორი განლაგება ქალაქის ცალკეული რაიონების, უბნებისა და ქუჩების მიხედვით.

25. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, 1954 წლის I კვარტალიდან დაწყებული, ასაწყობი სტანდარტული მაღაზიებისა და ასაწყობი სტანდარტული სავაჭრო მოწყობილობის (ჯარადები, დახლები) წარმოების შესახებ.

26. საჭიროდ იქნას ცნობილი 1956 წელს 1953 წელთან შედარებით სავაჭრო ქსელისათვის ავტომატური მაცივარი კომპრესორებისა და მაცივარი მოწყობილობის წარმოება გადიდდეს ერთისამად, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოწყობილობისა — 8-ჯერ, სალაროს აპარატებისა — 4,5-ჯერ და სავაჭრო-სატრანსპორტო მოწყობილობისა — 5,5-ჯერ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს შესაბამისი სამინისტროების მიერ აღნიშნული მოწყობილობის წარმოება.

27. დაევალოს სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს უზრუნველყონ იმ ავტომობილების შეკეთება, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებს.

III. კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

28. საბჭოთა ვაჭრობის დარგში სპეციალისტთა ისეთი კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც უნარი შესწევთ შეასრულონ საქონელბრუნვის ყოველი ღონისძიებით განვითარების ამოცანები, და ვაჭრობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად მიჩნეულ იქნას საჭიროდ:

ა) გადიდდეს მიღება სავაჭრო-ეკონომიურ ინსტიტუტებში და უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტებზე 1953 წლის 2.200 კაციდან 3.000 კაცამდე 1954 წელს და 3.500 კაცამდე 1955 წელს, აქედან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიური, პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ფაკულტეტებზე — 1.000 კაცამდე, აგრეთვე მიღება საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელ ინსტიტუტში 1953 წლის 2.500 კაციდან 3.000 კაცამდე 1954 წელს;

ბ) გადაეცეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გამგებლობიდან სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს გამგებლობაში შემდეგი ინსტიტუტები: მოსკოვის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი, ლენინგრადის ფ. ენგელსის სახელობის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტი, სამარყანდის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტი, ხარკოვის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტი და საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტი, ამასთან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დაეტოვოს საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებში ვაჭრობის სპეციალისტთა მომზადებისადმი;

გ) დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს:

სპეციალისტთა მომზადება 1955 წელს ვაჭრობის საუკეთესო ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვიდან, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, აიყვანოს უმაღლეს სავაჭრო სკოლაში 200 კაცამდე და ორწლიან სავაჭრო კურსებზე 1.000 კაცამდე ყოველწლიურად; გაადიდოს მიღება ტექნიკუმებში, რომლებიც ამზადებენ ვაჭრობის მუშაკებს სპეციალური საშუალო განათლებით, 1953 წლის 7.100 კაციდან 8.500 კაცამდე 1954 წელს და 10.000 კაცამდე 1955 წელს, აქედან საზოგადოებრივი კვების სპეციალისტებისა 2.000 კაცამდე, აგრეთვე გაადიდოს მიღება საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელ ტექნიკუმში 1953 წლის 2.000 კაციდან 4.000 კაცამდე 1954 წელს;

საცალო და საბითუმო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის მასობრივი პროფესიების სავაჭრო მუშაკთა მომზადება 1954-1955 წლებში აიყვანოს სავაჭრო და საკულინარო მოსწავლეობის სკოლებსა და სპეციალურ სავაჭრო სკოლებში 25.000 კაცამდე წელიწადში ნაცვლად 1953 წლის 18.800 კაცისა, ინდივიდუალური და ბრიგადული მოსწავლეობის გზით — 25.000 კაცამდე წელიწადში ნაცვლად 1953 წლის 13.600 კაცისა და კურსებზე ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება — 128 ათას კაცამდე წელიწადში ნაცვლად 1953 წლის 89.200 კაცისა. გაადიდოს მიღება მასობრივი პროფესიების დაუსწრებელ კურსებზე 1953 წლის 3.000 კაციდან 5.000 კაცამდე 1954 წელს;

ძირითადი პროფესიების ვაჭრობის მუშაკების — გამყიდველების, მზარეულების, მოანგარიშეების და სხვ. მომზადებისას ფართოდ გამოიყენოს ინდივიდუალური და ბრიგადული მოსწავლეობა. მოსწავლეთა სწავლის ხარჯები გაღებულ იქნას კადრების მომზადებისა და გადამზადების ანარიცხებიდან და შესაბამისად გადასინჯულ იქნას ანარიცხების ნორმები ამ მიზნისათვის და ამ კატეგორიის მუშაკთა რაოდენობა;

დ) ააშენოს 1954-1956 წლებში ტექნიკუმის 12 სასწავლო შენობა, 30 სავაჭრო მოსწავლეობის სკოლა და 39 საცხოვრებელი სახლი ტექნიკუმებისა და სკოლების მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებისათვის.

IV. სოფლად ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ

29. იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს კოლმეურნეების, სოფლის ინტელიგენციის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონლის მხრივ, ხოლო კოლმეურნეობათა მოთხოვნილება საწარმოო დანიშნულების საქონლის მხრივ, დაევალოს ცენტროსოიუზს:

ა) ფართოდ გააჩაღოს სოფლის მოსახლეობის, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის იმ საქონლის მიყიდვა, რომელიც მათ სჭირდებათ, ამასთან არ დაუშვას შეფერხება ვაჭრობაში და დაყოვნება საცალო სავაჭრო ქსელისათვის საქონლის მიწოდებაში.

მოაწყოს სოფლად მოსახლეობის მოთხოვნის გულმოდგინედ შესწავლა და ყოველმხრივ აღრიცხვა და ამ საფუძველზე წარუდგინოს მრეწველობას საჭირო საქონლის მოთხოვნა; სწორად შეზიდოს საქონელი რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებსა და დასახლებულ პუნქტებში და მრეწველობისაგან არ მიიღოს საქონელი, რომელსაც მოსახლეობა არ მოითხოვს, აგრეთვე დაბალი ხარისხის საქონელი;

ბ) ხე-ტყის მასალაზე, ცემენტზე, სახურავ მასალაზე, ლურსმანზე და სხვა საშენ მასალასა და საწარმოო დანიშნულების საქონელზე კოლმეურნეთა, აგრეთვე კოლმეურნეობათა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დიდი მასშტაბით გააჩაღოს ამ საქონლის ვაჭრობა.

1954-1956 წლებში დამატებით გახსნას 1.700 მაღაზია და საწყობი საშენი მასალისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის სავაჭროდ;

გ) მცირე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მომსახურებისათვის, სადაც მუდმივი სავაჭრო ქსელი არ არის, მოაწყოს ვაჭრობა განრიგების მიხედვით საქონლის რგოლური შეზიდვის გზით (მისვლის დღის აღნიშვნით), ამ მიზნით 1954 წელს მოაწყოს 500 ავტოდუქანი;

დ) გახსნას 1954-1956 წლებში 23.000 საცალო სავაჭრო საწარმო.

1954 წელს დაამთავროს მშენებლობა და გახსნას იმ ქალაქებსა და მუშათა დაბებში, რომლებიც რაიონული ცენტრებია, სამრეწველო საქონლის სავაჭრო უნივერსალური მაღაზიები; იქონიოს თვითეულ სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებაში სულ ცოტა ერთი უნივერსალური მაღაზია, ხოლო ყველაზე დიდ დასახლებულ პუნქტებში გახსნას აგრეთვე (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) ფეხსაცმლის, შეკერილი ნაწარმისა და საშენი მასალის სავაჭრო სპეციალიზებული მაღაზიები;

ე) სასაწყობო მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ააშენოს 1954-1956 წლებში სამომხმარებლო კოოპერაციის, რაისამომხმარებლო კოოპკავშირებისა და სამომხმარებლო საზოგადოებების შუალა საბითუმო რგოლისათვის საერთო სასაქონლო საწყობები 1.700 ათასი კვადრატული მეტრი ფართობისა, მათ შორის 890 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საწყობები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს;

ვ) მოაწყოს რაიონულ ცენტრებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციები, სახელოსნოები (სამკერვალო, ფეხსაცმლისა და სხვ.) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროების მომსახურებისათვის და გააფართოოს შესაკეთებელი მასალის გაყიდვა.

ზ) გააუმჯობესოს სოფლად საჩაიეთა მუშაობა: შეაკეთოს შენობები, უზრუნველყოს ისინი საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, გააფართოოს კერძების ასორტიმენტი, გააუმჯობესოს საშმლის ხარისხი, აამაღლოს მომხმარებელთა მომსახურების კულტურა.

30. დაევალოს ცენტროსოიუზს გააფართოოს სამომხმარებლო კოოპკავშირების საწარმოებიდან და გამოსასვლელი ბაზებიდან საქონლის სატრანზიტო გაგზავნის პრაქტიკა და ამ საწარმოებსა და ბაზებში მოაწყოს საქონლის დახარისხება რაიონული სამომხმარებლო კოოპკავშირებისა და სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის გასაგზავნად.

31. მიენიჭოს ცენტროსოიუზს უფლება დაუმატოს საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამომხმარებლო კოოპკავშირების საბითუმო ბაზების შტატებს საქონელმცოდნე-ინსტრუქტორის თანამდებობა იმ ვარაუდით, რომ 1 საქონელმცოდნე-ინსტრუქტორი მოდიოდეს 5 რაიონულ სამომხმარებლო კოოპკავშირზე და რაიონულ სამომხმარებლო საზოგადოებაზე, და რაიონული სამომხმარებლო კოოპკავშირების საწყობების შტატებს — იმ ვარაუდით, რომ 1 საქონელმცოდნე-ინსტრუქტორი მოდიოდეს 5 სამომხმარებლო საზოგადოებაზე, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა საერთო რაოდენობიდან.

32. იმასთან დაკავშირებით, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ბევრ ორგანიზაციაში ცუდად არის მოწყობილი საქონლის მიტანა საცალო ქსელში, რის შედეგადაც გამყიდველები იძულებული არიან დაკეტონ მაღაზიები და საქონლის მისაღებად წავიდნენ, დაევალოს ცენტროსოიუზს შეწყვიტოს ეს პრაქტიკა და უზრუნველყოს სავაჭრო ქსელში საქონლის თავის დროზე მიტანა.

დატარებითი ვაჭრობისა და საქონლის რგოლური შემოზიდვის მოსაწყობად ცენტროსოიუზს 1954 წელს გამოეყოს 500 ავტომანქანა, აგრეთვე 200 კატერი.

33. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობების, მაღაზიების, პურის საცხობების მშენებლობა იმ რესპუბლიკური სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციათა ძალებით, რომლებიც ეწევიან სამოქალაქო და საბინაო მშენებლობას, აგრეთვე საოლქო და სამხარეო აღმასკომების ორგანიზაციების ძალებით იმ ადგილებში, სადაც ისინი მშენებლობას ეწევიან.

34. დაევალოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაამზადოს ცენტროსოიუზისათვის ასაწყობი ფარის მაღაზიები გამყიდველის ბინით და ტიპური სავაჭრო მოწყობილობის (დახლები და კარადები) კომპლექტები ამ მაღაზიებისათვის ისეთი რაოდენობით, რაც განსაზღვრულია წლიურ გეგმებში.

35. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

ა) მისცეს ცენტროსოიუზს 1954 წელს სესხი მაღაზიების, საწყობების მშენებლობისა და მოწყობილობის შეძენისათვის 300 მილიონი მანეთის რაოდენობით დაფარვის 5 წლის ვადით.

მიენიჭოს ცენტროსოიუზს უფლება, გამონაკლისის სახით, გამოიყენოს მშენებლობაზე სესხის წესით 5 წლის ვადით კულტფონდის სახსრების თავისუფალი ნაშთი 250 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ცენტროსოიუზს სამი წლით გაუხანგრძლივდეს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს იმ ვალის დაფარვა, რომელიც მას მართებს დამამზადებელი ორგანიზაციების 70 მილიონი მანეთის ძირითადი სახსრების მიღებისათვის;

ბ) სოფლებში და რაიონულ ცენტრებში, სადაც არ არის სავაჭრო ბანკის კანტორა, სამომხმარებლო კოოპერაციაში კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება ხდებოდეს სახელმწიფო ბანკის მეშვეობით.

36. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს ცენტროსოიუზისათვის ცენტრალიზებული წესით საჭირო საშენი მასალების, მოწყობილობისა და სამშენებლო მექანიზმების გამოყოფა სამომხმარებლო კოოპერაციაში კაპიტალური მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

37. დაევალოს სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადონ თავიანთ ქარხნებში და მიაწოდონ ცენტროსოიუზს 1954-1955 წლებში ცომის საზელი მანქანები, გობები, საცრები და სხვა მოწყობილობა სამომხმარებლო კოოპერაციის 1.000 პურის საცხობისათვის, აგრეთვე გაუწიონ დახმარება ამ მოწყობილობის მონტაჟში.

38. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს:

ა) შეაკეთოს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების სახელოსნოებში ცენტროსოიუზის განწესით 1953-1954 წლებში ტრაქტორები, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ცენტროსოიუზმა გამოუყოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს თავისი ფონდებიდან სათადარიგო ნაწილები და საკისრები სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა ტრაქტორების შესაკეთებლად დეფექტების უწყისების მიხედვით და აუნაზღაუროს მტს-ებსა და სპეციალიზებულ სადგურებს ტრაქტორების შეკეთების ღირებულება ფაქტიური დანახარჯის მიხედვით;

ბ) გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებისა და კოლმეურნეობების განკარგულებაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და საკუთარი ტვირთის გადაზიდვისაგან თავისუფალ დროს მტს-ებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების ავტოტრანსპორტი კოოპერაციული ორგანიზაციების სავაჭრო ქსელში საქონლის გადასაზიდად და საკოლმეურნეო ბაზრებზე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად.

39. დაევალოს ცენტროსოიუზს:

ა) მოამზადოს 1954-1956 წლებში:

ტექნიკუმებში — 20.300 სპეციალისტი, მათ შორის 7.400 საქონელმცოდნე, 8.300 ბუხჰალტერი და 3.600 მგეგმავი;

სავაჭრო-კოოპერაციულ სკოლებში— 46.500 მაღაზიის გამგე, გამყიდველი, მზარეული, პურის მცხობელი, საანგარიშო დარგისა და სხვა მუშაკი;

მოკლევადიან კურსებზე — 100 ათასი სამომხმარებლო საზოგადოების და რაისამომხმარებლო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სავაჭრო განყოფილების გამგე, მაღაზიის გამგე, საჩაიესა და სასადილოს გამგე და სხვა მუშაკი;

ბ) იმ პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, რომლებიც დიდი ხანია მუშაობენ სამომხმარებლო კოოპერაციაში, სპეციალური განათლების მიღების პირობების შესაქმნელად მოეწყოს 1954 წელს 10 საოლქთაშორისო ორწლიანი სავაჭრო-კოოპერაციული სკოლა საშუალო სპეციალური განათლების დიპლომის მიცემის უფლებით. მომზადდეს ამ სკოლებში 1954-1956 წლებში 1.000 კაცი;

გ) ფართოდ შემოიღოს პრაქტიკაში კადრების მომზადება უშუალოდ სავაჭრო, დამამზადებელ და სამრეწველო საწარმოებში ბრიგადული და ინდივიდუალური მოსწავლეობის გზით, ყოველწლიურად მოამზადოს ამ გზით სამომხმარებლო კოოპერაციის კულტფონდის ხარჯზე სულ ცოტა 50 ათასი კაცი მუშაკთა იმ რაოდენობის გარდა, რომელიც დაწესებულია შრომის გეგმებით.

დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს:

ა) დაუბრუნოს ცენტროსოიუზს 1954 წლის 1 ივლისამდე ლვოვის სავაჭრო-ეკონომიური ინსტიტუტი;

ბ) მოაწყოს სამომხმარებლო კოოპერაციისათვის სპეციალისტთა მოსამზადებელი ჯგუფები უნივერსიტეტების ეკონომიურ ფაკულტეტებზე მოკავშირე რესპუბლიკებში სულ ცოტა 500 კაცის საერთო ყოველწლიური მიღებით.

41. დაევალოს ცენტროსოიუზს:

უზრუნველყოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციის წესდებათა მტკიცე დაცვა და წესდებებით დაწესებულ ვადებში მოაწყოს მმართველობისა და კონტროლის ორგანოების არჩევნები და მოისმინოს მათი ანგარიშები მეპაიეთა კრებებზე;

ფართოდ ჩააბას მეპაიეები და მათ მიერ არჩეული სარევიზიო, სადუქნო და სასადილოს კომისიები კოოპერატივების მუშაობისადმი კონტროლში;

არ დაუშვას სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების არჩევითი მუშაკებისა და სპეციალისტების უკანონოდ მოხსნა და გადაყვან-გადმოყვანა.

V. საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ

42. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს:

ა) მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა შეუქმნან კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ხელსაყრელი პირობები საკოლმეურნეო ბაზრებში და უზრუნველყონ ყოვლისა დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის გასაყიდად.

უახლოეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომლებიც არის საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიტანის ორგანიზაციის საქმეში, და უზრუნველყონ საკოლმეურნეო ბაზრებში კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის მიტანისა და გაყიდვის მნიშვნელოვანი გადიდება;

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ ყველა საკოლმეურნეო ბაზარი საჭირო რაოდენობის სავაჭრო ინვენტარით, სასწორებითა და სპეცტანსაცმლით;

გ) უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის საკოლმეურნეო ბაზრების პავილიონებსა და ფარდულებში ადგილების მიცემა, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის ბაზრებში მუდმივ სავაჭროდ სავაჭრო შენობების იჯარით მიცემა. მისცენ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სათანადო ფასად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი სასაწყობო შენობები, აგრეთვე საჭირო ინვენტარი.

უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შეუფერხებელი მომსახურება ხორცის საკონტროლო და რძის საკონტროლო სადგურების მიერ, აგრეთვე მომსახურება ხორცის დაჭრასა და ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აწონაში;

დ) მოეწყოს საკოლმეურნეო ბაზრებში და მათ ახლომახლო ქუჩებში სამრეწველო საქონლის ვაჭრობა ისეთი ასორტიმენტით, რომელიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მიენიჭოს სამომხმარებლო კოოპერაციას უფლება სახელმწიფო ვაჭრობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით მოაწყოს ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში სამეურნეო საქონლის, სააღლო და სასარაჯო ნაწარმის და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ვაჭრობა;

ე) სამომხმარებლო კოოპერაციის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან საკომისიო წესით იღებენ გასაყიდად პროდუქტებს, მიეცეთ მაღაზიები, პავილიონები, ფარდულები და საწყობის შენობები, რაც საჭიროა საკომისიოდ მიღებული პროდუქტების გაყიდვისა და შენახვისათვის;

ვ) 1954-1956 წლების განმავლობაში აშენდეს 508 ახალი საქალაქო საკოლმეურნეო ბაზარი. მოქმედ ბაზრებში აშენდეს 750 საწყობი და 750 მაცივარი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების კუთვნილი საქონლის შესანახად, 750 საჩაიე, 750 ხორცის საკონტროლო და 750 რძის საკონტროლო სადგური.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ორი თვის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს ახალი საკოლმეურნეო ბაზრების, ბაზრებში საწყობების, მაცივრების, საჩაიეებისა და ხორცისა და რძის საკონტროლო სადგურების მშენებლობის პუნქტები.

43. დაევალოს ცენტროსოიუზს:

ა) შემოიღოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღება საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდად კოლმეურნეობებთან შეთანხმებულ ფასებში და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის კოლმეურნეობების მიერ საკომისიო გასამრჯელოს გაცემა;

ბ) 2 კვირის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდად კოლმეურნეობისა და კოლმეურნეებისაგან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიოდ მიღების პირობები და წესი.

44. დაევალოს ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილთა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და საოლქო საბჭოების აღმასკომებს მისცენ კოლმეურნეობებს მუშაობისაგან თავისუფალი ავტოტრანსპორტი საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისატანად, აგრეთვე დიდ ქალაქებში მოაწყონ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიტანა რკინიგზის სადგურებიდან და ნავსადგურებიდან საკოლმეურნეო ბაზრებამდე სატვირთო ავტომობილების სპეციალური რეისებით, ამასთან სატვირთო ავტომობილები გაგზავნონ მტტარებლებისა და გემების მოსვლის დროს.

45. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ არსებული საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის 1953 წლის IV კვარტალისა და 1954 წლის გეგმები და უზრუნველყონ საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის საჭირო საშენი მასალის გამოყოფა.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფა ყველა პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი ყოველდღიური კონტროლი, მტკიცე ბრძოლა აწარმოონ საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ, დროულად მიიღონ ღონისძიებანი მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და იბრძოლონ მოსახლეობის მომსახურების სისტემატური გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ბოლო მოუღონ ვაჭრობისა და სავაჭრო მუშაკებისადმი ჯერ კიდევ არსებულ უყურადღებო დამოკიდებულებას და შეუქმნან მათ ამხანაგური დახმარებისა და ჯეროვანი პატივისცემის ვითარება, ახსოვდეთ, რომ საბჭოთა ვაჭრობა სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია, ხოლო საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები სოციალიზმის მშრომელთა ერთ-ერთი რაზმია, რომელნიც უნდა ასრულებდნ

საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის ბიბლიოთეკა

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესი

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა

ვენა, 20 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საღამოს გაიმართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

გენერალურმა საბჭომ თავის სხდომაზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ლუი საიანი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთსულოვნად აირჩია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი ბიურო 14 კაცის შემადგენლობით და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ოთხი მდივანი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ჯუზეპე დი ვიტორიო (იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი).

აღმასრულებელი ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ: დი ვიტორიო — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე (იტალია, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი), ლუი საიანი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი (საფრანგეთი), ვიცე-თავმჯდომარეები: ნ. მ. შვერნიკი (სსრ კავშირი), ალენ ლე ლეპაი (საფრანგეთი), ლიუ ნინ-ი (ჩინეთი), ლომბარდო ტოლედანო (ლათინური ამერიკა), ჰერბერტ ვარნკე (გერმანია), დანგე (ინდოეთი), აბდულა დიალო (აფრიკა), ლასარო პენია (კუბა), ტესლა (ჩეხოსლოვაკია), ნიონო (ინდონეზია), ბრანდსენი (ჰოლანდია), ლუჩესი (ბრაზილია).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივნებად არჩეული არიან: კაზაკოვი, გრასი, ლიუ ჯან-შენი და ჟურდენი.

რეზოლუცია

მოხსენებების გამო „ანგარიში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ და პროფკავშირთა შემდგომი ამოცანები ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცების საქმეში“

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის (რომელიც მიმდინარეობდა ვენაში 1953 წლის 10-დან 21 ოქტომბრამდე) 819 მონაწილე — როგორც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრი, ისე არაწევრი პროფკავშირული ორგანიზაციების რწმუნებულნი, აგრეთვე მუშაობის ადგილას არჩეული მშრომელნი, რომელნიც სხვადასხვა პოლიტიკურ და რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები არიან, აცხადებენ, რომ მტკიცედ ისწრაფვიან დარაზმონ ყველა მშრომელი ადამიანი ცხოვრების დონის ამაღლებისა და მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში.

79 ქვეყნის 88.600 ათასმა მშრომელმა, რომელნიც უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილნი კონგრესზე, მილიონობით სხვა მშრომელმა, რომელნიც კონგრესის მომზადებაში მონაწილეობდნენ, ცხადყვეს არა მარტო ის, რომ თავიანთი ერთიანობა მიაჩნიათ ძალის წყაროდ და თავიანთი ბრძოლის წარმატების გარანტიად, არამედ ცხადყვეს სრული ნდობაც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისადმი — მათი სასიცოცხლო ინტერესების დამცველისადმი.

ყოველთვის, როცა მშრომელები, მიუხედავად იმისა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრები არიან ისინი თუ არა, იწყებენ ბრძოლას თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მშვიდობისათვის, ისინი აუცილებლად დგებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პოზიციებზე, და მათი მოქმედების მიზანია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პროგრამის განხორციელება. სწორედ ამიტომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია გამოდის არა მარტო თავისი წევრების სახელით, არამედ ყველა მშრომელის სახელით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყოველთვის წარმართავს თავის საქმიანობას მუშათა კლასის ერთიანობის გასაძლიერებლად ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია და მისი საწარმოო განყოფილებანი საჭირო მხარდაჭერას უწევენ მშრომელთა ბრძოლას, აწყობენ საერთაშორისო სოლიდარობას და გადასცემენ მათ საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია იცავს ყველა მშრომელს, ყველა მოღვაწეს, რომელნიც რეპრესიებს განიცდიან. იგი აწყობს მასობრივ კამპანიებს პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა უზრუნველყოფისათვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია იცავს მშრომელთა უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, იგი იბრძვის ხალხთა მასების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის, ყველა ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია იბრძვის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც შეუძლია გათელოს მშრომელთა რიგები. იგი ამხილებს პროფკავშირული მოძრაობის გამთიშველებს, მუშათა კლასის მტრებს.

აი ამიტომ პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესი ერთსულოვნად იწონებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობას.

პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის შემდეგ მუშათა კლასი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა, ენერგიულად ავითარებდა ბრძოლას მშრომელთა უფლებებსა და თავისუფლებებზე კაპიტალისტური მონოპოლიების შეტევის წინააღმდეგ.

ფაქტებმა გააქარწყლეს ილუზია, თითქოს „ცივ ომს“ და გამალებულ შეიარაღებას შეეძლოს გაუმჯობესოს მშრომელთა მდგომარეობა, მისცეს მათ სამუშაო და პური. კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც გამალებულ შეიარაღებას ეწევიან, სამხედრო მრეწველობა ვითარდება, წარმოების მშვიდობიანი დარგები კი იკვეცება. მატულობს უმუშევრობა. ცხოვრების დონე ქვეითდება, მაშინ როცა კაპიტალისტების მოგება უდიდეს ოდენობას აღწევს.

პირიქით, სსრ კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელნიც მშვიდობის პოლიტიკას ახორციელებენ, მთელი ეროვნული სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობას ხმარდება. ეს დამაჯერებელი მაგალითია ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

კონგრესი აღნიშნავს, რომ შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის ერთიანობა განუწყვეტლივ მტკიცდება როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ეს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთ შესაძლებლობას აძლევს სულ უფრო ხშირად აიძულონ მთავრობები და მეწარმენი დათანხმდნენ დათმობაზე, დააკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნები, საპყრობილიდან გაათავისუფლონ აქტივისტი მუშები, გაითვალისწინონ ხალხთა ეროვნული ინტერესები.

იტალიაში, საფრანგეთში, აგრეთვე ბრაზილიაში, ინდოეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში დიდი ძლევამოსილი გაფიცვები, შრომის კოდექსის მიღება საფრანგეთის აფრიკის კოლონიებში, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის ალენ ლე ლეპაის და საფრანგეთის სხვა პროფკავშირულ მოღვაწეთა განთავისუფლება საპყრობილიდან, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარისა და კუბის მშრომელთა ხელმძღვანელის ლასარო პენიას განთავისუფლება პატიმრობიდან — ასეთია მშრომელთა მოქმედების ერთიანობისა და საერთაშორისო სოლიდარობის საგულისხმო შედეგები.

პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესი მიესალმება, როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვებას, ორგანიზაციულ ერთიანობას, რომელიც მიღწეულია გვატემალის, ბოლივიის, ჩილის, ოქროს ნაპირის პროფკავშირულ მოძრაობაში, ინდოეთის რკინიგზელებს, ურუგვაის მელითონეებს შორის და სხვა ქვეყნებში.

მტკიცდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმური თანამშრომლობა და სოლიდარობა პროგრესისა და ხალხის მასების კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების გზაზე მტკიცედ მდგომი ქვეყნების — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებთან და მუშათა კლასთან.

ამ ქვეყნების ხალხთა დიდი მიღწევაა აგრეთვე ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მთელი მსოფლიოს მშრომელებმა მოიპოვეს კაპიტალისტური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონგრესი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად გამთიშველთა ყველა მანევრისა, ყველა ქვეყნის მშრომელები სულ უფრო ძლიერ იჩენენ მისწრაფებას პროფკავშირული ერთიანობის აღდგენისადმი როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

კონგრესი იწონებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის არაერთგზის წინადადებას, რომ დამყარდეს „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციასა“ და ქრისტიანთა პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციასთან საერთო მოქმედება კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ეს წინადადებანი შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს, რომლებმაც იციან, რომ საერთაშორისო ერთიანობა შესაძლებლობას აძლევს მუშათა კლასს მოიპოვოს ახალი გამარჯვებანი.

აი რატომ არის, რომ კონგრესი გადაჭრით გმობს ამერიკის შრომის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერებს, რომელთა ხელშიც არის ამჟამად „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია“ და რომლებიც იყენებენ უაღრესად უპატიოსნო საშუალებებს, რათა გათიშონ და შეასუსტონ პროფკავშირული მოძრაობა.

მაგრამ მშრომელი მასების მისწრაფება ერთიანობისადმი გამთიშველთა ხრიკებზე უფრო ძლიერია, და მან უნდა გაიმარჯვოს.

ხელმძღვანელობს რა მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილებით, კონგრესი საზღვრავს ძირითად ამოცანებს, რომლებიც დასახულია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებების) და ეროვნული პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე.

პროფკავშირთა ძირითადი და მუდმივი ამოცანაა ბრძოლა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ამისათვის მათ უნდა გააფართოონ თავიანთი გავლენა მშრომელთა მასებში, ჩაებან პროფკავშირებში ახალი წევრები და შექმნან პროფკავშირული ორგანიზაციები იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არსებობენ, განამტკიცონ მუშათა კლასის ერთიანობა, მოაწყონ სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირებში შემავალ მშრომელთა, აგრეთვე არაორგანიზებულ მშრომელთა ერთობლივი მოქმედება.

მოქმედების ერთიანობის განხორციელება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა მშრომელთა დარაზმვას მუშაობის ადგილებზე, მუდმივ და მჭიდრო კონტაქტს მასებთან, იგი მოითხოვს, რომ პროფკავშირები უსაზავდნენ მშრომელებს ნათელ, ზუსტ ლოზუნგებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია, და ბრძოლის მიზნებს, რომელთა საფუძველზეც მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ. ერთიანობა მოითხოვს, რომ პროფკავშირებმა დაიცვან დემოკრატია, ლოიალურად და პატიოსნად შეასრულონ მშრომელთა წინაშე ერთობლივად ნაკისრი ვალდებულებანი.

მოქმედების ერთიანობის განსახორციელებლად და მის დასაცავად საჭიროა დაუყოვნებლივ და ყოველ ვითარებაში მხილებულ იქნას მშრომელთა წინაშე ყველა მანევრები, რომლებსაც მიმართავენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ერთიანობას; ამისათვის ის მიზნები, რომლებსაც გამთიშველები ისახავენ, განმარტებულ უნდა იქნას კონკრეტული და დამაჯერებელი არგუმენტების საშუალებით.

პროფკავშირებმა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ერთიანობის განმტკიცებით უნდა გააძლიერონ თავიანთი ბრძოლა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში:

ხელფასის გადიდებისათვის;

მუშათა სრული დასაქმებისათვის;

თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვისათვის, მიუხედავად სქესისა, ასაკისა, რასისა და ეროვნებისა;

შრომის აუტანელი მეთოდების ლიკვიდაციისა და მუშაობის უსაშიშრო და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისათვის;

იმ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შემცირებისათვის, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს;

მშრომელი მოსახლეობის სოციალური დაზღვევის ფართო სისტემისათვის სახელმწიფოსა და მეწარმეთა ხარჯზე;

ანტიმუშური კანონების გაუქმებისა და პროფკავშირული უფლებების უზრუნველყოფისათვის.

პროფკავშირთა ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის შეტევითი და განუწყვეტელი უნდა იყოს. მას თან უნდა ახლდეს აქტიური პოზიციის დაკავება ცხოვრების სიძვირის ზრდის წინააღმდეგ, ფასების შემცირებისათვის, რეალური ხელფასის განუწყვეტელი ზრდისათვის.

პროფკავშირები უნდ[illegible] განმარტავდნენ, რომ მონოპოლიების მისწრაფება თავიანთი მოგების მუდმივი გადიდებისადმი ცხოვრების სიძვირის ერთერთი ძირითადი მიზეზია.

საჭიროა ხელფასის ბლოკირების პოლიტიკის მხილება, აგრეთვე ისეთი ყალბი თეორიების მხილება როგორიც არის ხელფასისა და ფასების ეგრეთწოდებული „მსხვერპლის თანასწორობისა“ და „მოჯადოებული წრის“ თეორიები, რომელთა მიზანია მშრომელთა ბრძოლის შენელება.

პროფკავშირებმა ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლა უნდა დაუკავშირონ ნამდვილი კოლექტიური შრომითი შეთანხმებების მიღწევისათვის ბრძოლას.

კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ხელფასი ძლიერ დაბალია, მშრომელებსა და მათ ოჯახებს რომ შეეძლოთ ადამიანურ პირობებში იცხოვრონ, პროფკავშირებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მთავრობებმა და მეწარმეებმა მიიღონ კანონი ყველა პროფესიისათვის მინიმალური გარანტირებული ხელფასის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების ნორმალურ პირობებს, და უნდა მიაღწიონ ამ კანონის სრულ გამოყენებას.

კონგრესი მოუწოდებს პროფკავშირებს იბრძოლონ სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის, გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული პროგრამის განხორციელებისათვის და აქტიური მონაწილეობა მიიღონ აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში სოციალური დაზღვევის საკითხებზე კონტინენტური კონფერენციების მომზადებაში, რომლებიც უნდა გაიმართოს 1954 წელს.

მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით კონგრესი ურჩევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს იბრძოლონ უფრო ხანგრძლივი, საყოველთაო, სავალდებულო და უფასო სწავლებისათვის მშობლიურ ენაზე, ნამდვილი დემოკრატიული სწავლებისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ კიდევ უფრო ენერგიულად უნდა წამოაყენოს მშრომელთა საარსებო მოთხოვნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხოლო ყველა ქვეყნის პროფკავშირებმა მას ამ საქმეში მხარი უნდა დაუჭირონ.

კონგრესი რჩევას აძლევს პროფკავშირებს ქალთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან ერთად იბრძოლონ მშრომელი ქალებისა და ახალგაზრდების სასიცოცხლო უფლებათა უზრუნველყოფისათვის. კონგრესი აცხადებს, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელებსა და ხალხებს, რომლებიც განიცდიან მსოფლიოში ყველაზე სასტიკ ექსპლოატაციას და იბრძვიან სასტიკი იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი მოუწოდებს ყველა მშრომელს, და უწინარეს ყოვლისა მეტროპოლიების ქვეყნების ყველა მშრომელს, ერთსულოვნად გამოუცხადონ მათ სოლიდარობა და გაუწიონ ძმური დახმარება.

კონგრესი მოითხოვს შეწყდეს კოლონიური ომი, რომელსაც თითქმის 8 წელიწადია ეწევიან ფრანგი კოლონიზატორები ამერიკელ მონოპოლისტთა დახმარებით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. იგი 1953 წლის 19 დეკემბერს — ვიეტნამელი ხალხის ეროვნული წინააღმდეგობის დღეს — საზეიმოდ აცხადებს ვიეტნამელ ხალხთან აქტიური სოლიდარობის საერთაშორისო დღედ, ვიეტნამში კოლონიური ომის შეწყვეტისათვის ბრძოლის დღედ. იგი მოუწოდებს მშრომელებსა და პროფკავშირებს გამოიყენონ კრებები, მასობრივი მიტინგები, დემონსტრაციები და ბრძოლის ყველა სხვა ფორმა და გამოთქვან თავიანთი მისწრაფება მიაღწიონ ამ დანაშაულებრივი ომის შეწყვეტას.

მუშათა კლასის მზარდი ერთიანობა შესაძლებლობას იძლევა ყველაზე წარმატებით დავიცვათ მშვიდობის საქმე— ყველა ხალხის კეთილდღეობის ძირითადი პირობა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მშრომელთა ფართო მასებმა მონაწილეობა მიიღონ სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის მსოფლიო კამპანიაში. კორეაში დაზავება ყველა საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის შესაძლებლობის საუკეთესო დადასტურებაა.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ომის ძალების წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლაში საჭიროა დაირაზმონ ყველა რწმენის მშრომელნი, მამაკაცები, ქალები და ახალგაზრდობა, ხელი შეუწყონ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გაფართოებას.

საჭიროა გაძლიერდეს და გაფართოვდეს მშრომელთა საერთაშორისო ურთიერთობა, გაძლიერდეს მათი სიფხიზლე ომის გამჩაღებელთა ხრიკებისადმი.

კონგრესი მოუწოდებს ევროპის ქვეყნების ყველა მშრომელსა და ყველა პროფკავშირს გაერთიანონ თავიანთი ძალები, რათა ხელი შეუშალონ ბონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია და რომელნიც ამწვავებენ ომის საფრთხეს.

კონგრესი მოუწოდებს მუშათა კლასს დახმარება გაუწიოს და ქმედითი სოლიდარობა გამოუცხადოს გერმანელ მშრომელებს რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩაშალოს ომის გამჩაღებელთა მანევრები. იგი მოუწოდებს მშრომელებს ფხიზლად იყვნენ, რათა თავიდან აშორებულ იქნას სერიოზული საფრთხე, რასაც მშვიდობის საქმისათვის წარმოადგენს აღორძინებული ფაშიზმი.

პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი შესაძლებლობას მისცემენ ყველა ქვეყნის მშრომელებს, რომლებიც ძლიერი არიან თავიანთი უძლეველი იარაღით — საერთაშორისო მუშათა სოლიდარობით, გაბედულად და მტკიცედ იარონ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

21 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ვენა, 21 ოქტომბერი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე მოხსენება წინადადებათა კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა დიუამელმა. მან განაცხადა, რომ კონგრესს 56 ქვეყნიდან მოუვიდა 3.445 მისალმება, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მისასალმებელი წერილების რაოდენობა და ხასიათი მოწმობენ იმ უდიდეს გამოხმაურებას, რომელიც პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესს აქვს მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის.

შემდეგ კონგრესის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია ირანში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციაში, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იმპერიალისტები სისხლისმღვრელი ტერორის დახმარებით ცდილობენ კვლავ ხელში ჩაიგდონ ირანის ნავთობის სიმდიდრეები. კონგრესი სოლიდარობას უცხადებს ირანის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანელი ხალხის ჯალათ ფრანკოს შორის სამხედრო შეთანხმების დადებას.

შემდეგ კონგრესის დელეგატებმა მოიწონეს ტექსტი წერილისა მშრომელთა საქმისა და თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებისადმი, რომლებიც საპყრობილეებში არიან და დეგნას განაცდიან.

შემდეგ კანდიდატურათა კომისიის თავმჯდომარემ ანრი რეინომ კონგრესის დელეგატებს აცნობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ორგანოების — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

დელეგატები, ფეხზე მდგომნი, მქუხარე ტაშით მიესალმნენ ცნობას აღმასრულებელ ბიუროში დი ვიტორიოს, ლუი საიანის, ნ. მ. შვერნიკის, ლიუ ნინ-ის, ალენ ლე ლეპაის, დანგეს, ლომბარდო ტოლედანოს და მუშათა მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა არჩევის შესახებ.

ლე ლეპაშა სხდომის ხელმძღვანელობა გადასცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარეს ჯუზეპე დი ვიტორიოს, რომლის გამოჩენას თავმჯდომარის ადგილზე დელეგატები შეხვდნენ მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით.

შემდეგ კონგრესი შეუდგა ძირითადი დოკუმენტების — კონგრესზე მოსმენილ მოხსენებათა გამო რეზოლუციების განხილვას.

რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ ანგარიშის გამო და ცხოვრების დონის ამაღლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცების თაობაზე პროფკავშირთა შემდგომი ამოცანების შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად.

მანიფესტი

მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი

ყველა ქვეყნის მუშებო, ფიზიკური და გონებრივი შრომის მშრომელებო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენ ჩამოვედით 79 ქვეყნიდან პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესზე. ჩვენ წარმოვადგენთ ყველა რასისა და ყველა ეროვნების, ყველა პოლიტიკური შეხედულებისა და ყველა რელიგიური რწმენის ფიზიკური და გონებრივი შრომის 88 მილიონ 600 ათას ორგანიზებულ მშრომელს. ამ დიად საერთაშორისო პროფკავშირულ შეხვედრაზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მუშათა მოძრაობის ისტორიაში, ჩვენ განვიხილეთ ჩვენი მოთხოვნები და ჩვენი ბრძოლა, ჩვენი გეგმები და ჩვენი იმედები. ერთობლივად, დემოკრატიული გზით, ჩვენ შევიმუშავეთ და მივიღეთ ბრძოლის პროგრამა, რომელიც გამოხატავს კეთილდღეობასა და მშვიდობას მოწყურებული ყველა მშრომელის მისწრაფებას.

მსხვილი კაპიტალის უღელქვეშ მყოფ ქვეყნებში მშრომელ მასებს აღარ სურთ იცხოვრონ სიღატაკეში და იტანჯონ დაურწმუნებლობით, შიმშილით, უმუშევრობით, დამონებით, ომის შიშით. ისინი ერთიანდებიან და იბრძვიან არსებობის უკეთესი პირობებისათვის, თავიანთი უფლებების დასაცავად, მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მილიონობით ფრანგმა და იტალიელმა მშრომელმა ერთიანობით მოაწყო ხანგრძლივობითა და მასშტაბით უბადლო გაფიცვები. მილიონობით ინგლისელი მშრომელი ამჟამად მოითხოვს ხელფასის გადიდებას. დიდი მასობრივი გაფიცვები გაიმართა აგრეთვე ინდოეთში, ბრაზილიასა და ირანში. აფრიკის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მშრომელთა ერთიანმა ბრძოლამ შესაძლებელი გახადა კოლონიზატორებისათვის გამოგვეგლიჯა შრომის კოდექსი. მთელ ამ კონტინენტზე ვითარდება ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

კაპიტალისტური და კოლონიური სამყაროს ყველა ქვეყანაში — შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში, საბერძნეთსა და ესპანეთში, ინდონეზიასა და მაროკოში, შუა აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში ფართოვდება მუშათა მოძრაობა. კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ჩაღდება მოძრაობა ეროვნული განთავისუფლებისათვის. თანდათან თავისუფლდება ძველი აზია, რომელიც საუკუნეების მანძილზე კოლონიზატორთა უღელქვეშ იყო. იშვა ახალი დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იცავს მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დიად საქმეს. ვიეტნამისა და იაპონიის, მალაიისა და ინდონეზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები მამაცურად იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ყველა ქვეყნის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

სწორედ თქვენზე, თქვენს ერთიანობაზე, თქვენს ბრძოლაზეა დამოკიდებული უბრალო ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, თქვენ მიერ მოპოვებულ წარმატებათა გამრავლება. მშვიდობისათვის ხალხთა დაუცხრომელმა ბრძოლამ უკვე მოიტანა თავისი პირველი ნაყოფი. დამთავრდა სისხლისღვრა კორეაში.

ასეულ მილიონობით მამაკაცი და ქალი უპასუხებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

მაგრამ დედამიწაზე არსებობენ ძალები, რომლებიც გამოდიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. ისინი დაინტერესებული არ არიან მშვიდობით. მაქსიმალური მოგების მისაღებად ისინი იმედს ამყარებენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ გამწვავებაზე, იმედს ამყარებენ ომზე. ისინი ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, აქცევენ მას ევროპაში აგრესიის ძირითად კერად. მათ სურთ ჩაშალონ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, ისინი აღორძინებენ იაპონიის სამხედრო ძლიერებას, რომელიც ძირითადი სამხედრო ბაზა ხდება შორეულ აღმოსავლეთში. ისინი ახორციელებენ შეტევას მუშათა კლასის ცხოვრების დონეზე. ისინი აჩქარებენ გამალებულ შეიარაღებას, რომელიც სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ მასებს.

პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესმა ცხადყო, რომ ჩვენ შეგვიძლია გავერთიანდეთ ყველანი — მშრომელი მამაკაცები და ქალები, ყველა მიმართულების პროფკავშირები:

ხელფასის გადიდებისათვის, გადასახადების შემცირებისათვის, უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის;

სქესის, ასაკის, რასის, ეროვნების მიუხედავად თანაბარი შრომის, თანაბარი ანაზღაურების პრინციპის შემოღებისათვის;

შრომის არაადამიანური ტემპების მოსპობისათვის;

სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის ფართო სისტემის განვითარებისათვის;

ანტიმუშური კანონების გაუქმებისა და პროფკავშირულ უფლებათა უზრუნველყოფისათვის;

სამხედრო ბიუჯეტების შემცირებისათვის და განთავისუფლებული რესურსების მშვიდობიანი მიზნით, ეკონომიური და კულტურული განვითარების მიზნით გამოყენებისათვის;

იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეასრულებს რა თავის წესდებას, დაუბრუნდეს მისთვის განკუთვნილ როლსა და ფუნქციებს, რომელთა მიზანია ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა.

ერთიანობის იდეა სულ უფრო მეტად ეუფლება მასებს. იზრდება მშრომელთა მისწრაფება განახორციელონ პროფკავშირული ერთიანობა საწარმოებში, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის აღდგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება. იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და შეაფერხებს გამალებულ შეიარაღებას. იგი კეთილსასურველ გავლენას მოახდენს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის მეგობრული, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებაზე. იგი ხელს შეუწყობს მშვიდობიანი მშენებლობის აღმავლობას, უმუშევრობის შემცირებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ყველა ქვეყნისა და ყველა პროფესიის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

ნუ დავივიწყებთ მეორე მსოფლიო ომის მძიმე გაკვეთილებს!

განვამტკიცოთ ჩვენი რიგების ერთიანობა!

აღვადგინოთ მუშათა კლასის ეროვნული და საერთაშორისო ერთიანობა!

შეექმნათ ეს ერთიანობა საწარმოებსა და დაწესებულებებში, შეექმნათ ერთიანი ფრონტი მუშათა მოთხოვნების დასაცავად!

ვამხილოთ იმათი გამთიშველი პოლიტიკა, ვინც ამერიკის შრომის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელების მსგავსად ცდილობს ხელი შეუშალოს ამ ერთიანობას! მოვითხოვოთ ის, რომ თვითეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ და თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ხელმძღვანელმა ორგანომ მიიღოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წინადადება მოქმედების ერთიანობის შესახებ!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ურღვევ ერთიანობას!

გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, რომელიც ეწევა აქტიურ და განუწყვეტელ ბრძოლას მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის!

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის განცხადება

პარაღა, 21 ოქტომბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოსაქვეყნებლად გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შემდეგი განცხადება:

23-დან 28 ნოემბრამდე ვენაში გაიმართება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია.

წარმოებული კამპანიის ფარგლებში იგი გაინიალავს საკითხს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის მოქმედების შესახებ, მიუხედავად მათი წარსული თუ ახლანდელი უთანხმოებისა, რათა მიღწეულ იქნას, რომ მთავრობებმა ხალხთა დამოუკიდებლობისა და უშიშროების პატივისცემის სულისკვეთებით მოაგვარონ ერთა შორის უთანხმოება და კონფლიქტები ყველასათვის მისაღებ შეთანხმებათა საფუძველზე და კეთილად:

— წყალბადის ბომბისა და მასობრივი მოსპობის ყველა სახის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, რასაც კონტროლი უნდა გაეწიოს;

— კორეისა და გერმანიის საკითხების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც ამჟამად მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენენ.

ამერიკის მხარე კვლავ აფერხებს სამხედრო ფყვეთა შორის ახსნაგანმარტებითი მუშაობის მოწყობას

კორეა-ჩინეთის მხარის პროტესტი

პეკინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, გუშინ დაზავების სამხედრო კომისიის სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის უფროსმა წარმომადგენელმა გენერალმა ლი სან ჩომ მოითხოვა, რომ ამერიკის მხარემ შეწყვიტოს გონდანელთა და ლისინმანელთა აგენტების გამოყენება, რადგან ეს აგენტები, მოდიან რა ახსნაგანმარტებიის საუბრებზე როგორც ამერიკის მხარის წარმომადგენლები და თარჯიმნები, აშინებენ სამხედრო ტყვეებს და ყოველი ღონისძიებით უშლიან ხელს მოითხოვონ რეპატრიაცია. მან აღნიშნა, რომ დაზავების საკითხთა სამხედრო კომისია პასუხისმგებელია დაზავების შესახებ შეთანხმების, მათ შორის ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის კომპეტენციის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის. ამერიკის მხარე, განაცხადა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ, ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას ახსნაგანმარტებითი მუშაობის ჩაშლისათვის.

პეკინი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, ამერიკელები ავრცელებენ ჭორს, რომ კორეა-ჩინეთის მხარე ახსნაგანმარტებთთან მუშაობისათვის გამოყოფილ ადგილებში თითქოს უფრო მეტ წარმომადგენლებს გზავნის, ვიდრე ეს დაწესებულია. თავის გუშინდელ მიმართვაში ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიისადმი ამერიკის მხარის წარმომადგენელი ჰემბლენი იმუქრებოდა, რომ სასტიკ კონტროლს შემოიღებდა გამტარ პუნქტებში სამხედრო სადემარკაციო ხაზთან.

ამერიკის ახალი მუქარის მიზანია კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელთა მოწმობების შემოწმების საბაბით გაჭიანუროს დრო და ამით ხელი შეუშალოს ახსნაგანმარტებითს მუშაობას. ჰემბლენის მუქარა, განაგრძობს კორესპონდენტი, წარმოადგენს ახალ ცდას შებილოს ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის კანონიერი უფლებანი. დროებითი შეთანხმების მე-3 (C) პარაგრაფში, რომელიც დაზავების შესახებ შეთანხმების დამატებაა, ნათლად არის ნათქვამი, რომ იმ პირთ, რომელთაც დავალებული აქვთ ახსნაგანმარტებითი მუშაობა, შეუფერხებლად შეუძლიათ მივიდნენ იმ რაიონში, სადაც სამხედრო ტყვეები ნეიტრალური მცველი ჯარების კონტროლში იმყოფებიან. კორეა-ჩინეთის მხარის უფროსმა წარმომადგენელმა გენერალმა ლი სან ჩომ დაზავების სამხედრო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ კორეა-ჩინეთის მხარე არ მოითმენს დემილიტარიზებული ზონის ტერიტორიაზე მის წარმომადგენელთა მოძრაობის თავისუფლების არავითარ ხელყოფას.

ამერიკის სამხედრო გემები თურქეთის ნავსადგურებში ჩაეიღნენ

სტამბოლი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სტამბოლის ნავსადგურში ჩამოვიდა ამერიკის ესკადრა ამერიკის მე-6 ფლოტის გემების შემადგენლობით. ესკადრაში შედიან ორი მძიმე კრეისერი, ხუთი საესკადრო ნაღმოსანი, ავიოსანი და სხვა გემები.

დღესვე ჩამოდის იზმირის ნავსადგურში ამერიკის მეორე ესკადრა ავიოსნის, ცხრა საესკადრო ნაღმოსნის, ორი წყალქვეშა ნავისა და ერთი დამხმარე გემის შემადგენლობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურ კომიტეტში კენჭს უყრიდნენ რეზოლუციათა პროექტებს მაროკოს საკითხზე. კენჭისყრის მოტივების გამო მთელი რიგი დელეგატების (უმთავრესად ლათინური ამერიკის ქვეყნების) გამოსვლის შემდეგ კომიტეტი შეუდგა არაბთა და აზიის ცამეტი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრას.

ეს პროექტი შეიცავს წინადადებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს რეკომენდაცია: გაუქმდეს მაროკოში სამხედრო წესები და სხვა საგანგებო ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც საფრანგეთის ხელისუფლებამ შემოიღეს, განთავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები, შეიქმნას „მაროკოელი ხალხის დემოკრატიული წარმომადგენლობითი დაწესებულებანი“ და უზრუნველყოფილ იქნას, რომ ხუთი წლის განმავლობაში „მაროკოელმა ხალხმა მთლიანად განახორციელოს თავისი სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უფლებანი“.

22 ქვეყნის (სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რეზოლუციის პროექტის თანაავტორი ქვეყნების, ავრეთვე გვატემალის, ლიბერიის, ეთიოპიისა და იუგოსლავიის) დელეგაციებმა ხმა მისცეს რეზოლუციის ამ პროექტს. 28 ქვეყნის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით ხმა მისცეს არაბთა და აზიის სახელმწიფოების რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ცხრა დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა. საფრანგეთის დელეგაცია სხდომას არ დასწრებია, ისევე როგორც არ დასწრებია მაროკოს საკითხისადმი მიძღვნილ ყველა წინანდელ სხდომას.

შემდეგ კომიტეტმა კენჭი უყარა ბოლივიის რეზოლუციის პროექტს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს პროექტი შეიცავს წინადადებას, რომ ასამბლეამ განაახლოს თავისი მოწოდება, რომლითაც მან 1952 წლის 19 დეკემბერს მიმართა ორივე მხარეს, ესე იგი საფრანგეთსა და მაროკოს — „შეანელონ მაროკოს საკითხში შექმნილი დაძაბულობა“, და რომ მან კვლავ გამოთქვას იმედი, რომ „მაროკოელი ხალხის თავისუფალი პოლიტიკური ინსტიტუტები განვითარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთების შესაბამისად“. ინდოეთის წარმომადგენელმა ინდოეთის, ბირმისა და ინდონეზიის დელეგაციების სახელით წეიტანა ამ პროექტის რამდენიმე შესწორება, განაცხადა რა, რომ ამ შესწორებების მიუღებლად იგი და აზიისა და არაბთა მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი ვერ დაუჭერენ მხარს ბოლივიის რეზოლუციის პროექტს. ერთ-ერთი შესწორება შეიცავს წინადადებას, რომ აღიარებულ იქნას „მაროკოელი ხალხის სრული თვითგამორკვევის უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“. ამ შესწორებას კენჭი ეყარა სახელობით. მას ხმა მისცა 36 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა. ცამეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით ხმა მისცეს ამ შესწორების წინააღმდეგ, ცხადყვეს რა ამით, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების აშკარა მტრები არიან. 9 ქვეყნის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის მეორე შესწორება შეიცავდა წინადადებას, რომ მიეცეს ბოლივიის რეზოლუციის პროექტის ზემოთ მოყვანილ ოპერატიულ ნაწილს შემდეგი უფრო ჯატეგორიული რედაქცია: გენერალური ასამბლეა „ანახლებს თავის მოწოდებას შემცირდეს დაძაბულობა მაროკოში და დაბეჯითებით იძლევა წინადადებას უზრუნველყოფილ იქნას მაროკოელი ხალხის უფლება იყოლიოს თავისუფალი, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები“.

მიუხედავად იმისა, რომ კოლონიურმა სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით ხმა მისცეს წინააღმდეგ, პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის დელეგაციების ყველა შესწორება ბოლივიის რეზოლუციის პროექტისათვის. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამ შესწორებებს.

ბოლივიის დელეგაციის რეზოლუციის შესწორებული პროექტი ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის შესწორებებით მთლიანად მიღებულ იქნა 31 დელეგაციის ხმებით 18-ის წინააღმდეგ, ამასთან 9 დელეგაციამ თავი შეიკავა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატები იყვნენ ამათ შორის, ვინც ხმა მისცა ბოლივიის პროექტის წინააღმდეგ.

ამრიგად ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით კოლონიური სახელმწიფოების ცდა არ დაეშვით მაროკოს შესახებ კეთილასურველი რეზოლუციის მიღება პოლიტიკურ კომიტეტში.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). 20 ოქტომბერს დილით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა „პალესტინის საკითხზე“.

სხდომის დასაწყისში საბერძნეთის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა მიეღოთ დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით: „პალესტინის საკითხი: დაზავების შესახებ საერთო შეთანხმებათა დაცვა და საკალდებულო შესრულება განსაკუთრებული მითითებით ძალადობის იმ აქტებზე, რომლებიც ამას წინათ მოხდა და, კერძოდ, იმ ინციდენტზე, რომელიც კიბიაში მოხდა 14 და 15 ოქტომბერს. დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსის მოხსენება“.

საბერძნეთის დელეგატის ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა. ლიბანის დელეგატმაც აზრი გამოთქვა ამ წინადადების სასარგებლოდ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია წინააღმდეგი არ არის საბერძნეთის წარმომადგენლის მიერ შემოტანილი დღის წესრიგისა. ეს წინადადება შეესაბამება იმ დღის წესრიგის დაზუსტების მოთხოვნას, რასაც სსრ კავშირის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვდა გუშინდელ სხდომაზე.

დღის წესრიგი ერთხმად მიიღო საბჭომ.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებანი, რომლებშიც მათ შეშფოთება გამოთქვეს ისრაელსა და არაბთა სახელმწიფოებს შორის სადემარკაციო ხაზზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით. მათ განაცხადეს, რომ უშიშროების საბჭომ სათანადო ღონისძიებანი უნდა მიიღოს ამ რაიონში დაძაბულობის შესანელებლად, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსის გენერალ ბენიკეს მოხსენებას მოისმენს.

ლიბანის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს შემდეგ სხდომას იგი მოიწვევს ნიუ-იორკში გენერალ ბენიკეს ჩამოსვლის შემდეგ.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში ნორვეგიის მონაწილეობის წინააღმდეგ

ოსლო, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფრიჰეტენი“ იუწყება, ამას წინათ ქალაქ ლილეჰამერში ნორვეგიის საგარეო პოლიტიკის შესახებ ლექცია წაიკითხა სამართლის პროფესორმა კრისტენ ანდერსენმა. მან მოითხოვა, რომ ნორვეგია გამოვიდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკიდან და დაგმო ნორვეგიის მთავრობის სამხედრო მზადება.

ჟუნისში შექმნილი მდგომარეობის გამო

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღემდე წარმატება არ ჰქონია საფრანგეთის ხელისუფალთა ცდებს ტუნისელი ხალხისათვის თავს მოეხვიათ „რეფორმების“ გეგმა ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მისი მოთხოვნის სასასუხოდ. მიუხედავად სასტიკი დევნის, დასატიმრების და გადასახლებისა, ტუნისელებმა ამ წლის გაზაფხულზე ბოიკოტი გამოუცხადეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს, რომლებიც „აღმინისტრაციული რეფორმის“ ფრანგი ინიციატორების დამარცხებით დამთავრდა. საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი ტუნისში დე ოტაკლოკი სექტემბერში ამ პოსტზე ვუაზარმა შეცვალა. ამჟამად საფრანგეთის ხელისუფალნი კვლავ სთავაზობენ „რეფორმების“ გეგმას ტუნისში.

ფრანგული გაზეთების ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა „რეფორმის“ ძირითადი მიზანია შენარჩუნებულ იქნას ფრანგი კოლონიზატორების ბატონობა ტუნისში.

გაზეთი „ტრიბუნ დე ნასიონი“ წერდა: „ტუნისში შექმნილ მდგომარეობას ახასიათებს მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებათა ნამდვილი აყვავება, რომელთაც კონტროლს უწევენ ფრანგი კაპიტალისტები, ავრეთვე მთელი მოსახლეობის ცხოვრების მეტად დაბალი დონე. „კორესპონდანს ეკონომიკის“ ცნობებით, ჩრდილოეთი აფრიკის, ტუნისის ჩათვლით, სოფლის მოსახლეობის 60 პროცენტი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც მეტად ახლოა სიღატაკესთან... სოფლის მეურნეობის მუშათა ხელფასი სამრეწველო მუშების ხელფასზე მნიშვნელოვნად ნაკლებია. ეს უკანასკნელნი კი სულ მცირე 40 პროცენტით ნაკლებს იღებენ, ვიდრე მეტროპოლიის მუშები, თუმცა ფასები ტუნისში იმამდელ დონესთან შედარებით უფრო გადიდდა, ვიდრე საფრანგეთში“.

ტუნისის კომპარტიის განცხადებაში, რომელიც გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ტუნისში საფრანგეთის გენერალური რეზიდენტის შეცვლა ყველა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ტუნისელი ხალხის ბრძოლის შედეგი. მაგრამ ეს ღონისძიება ვერ დააკმაყოფილებს ხალხს, რომელიც მოელის, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეცვალოს თავისი პოლიტიკა. კომპარტია აცხადებს, რომ ტუნისელი ხალხი მზად არის განახილოს ტუნისის პრობლემა საფრანგეთთან ერთად. მაგრამ იგი მოითხოვს, რომ ეს განხილვა წარმობადეს ორი პირობის დაცვით: უნდა შეწყდეს ტერორი, დევნა, „მოჩხრეკის ოპერაციები“, მასობრივი სიკვდილით დასჯა, მოისპოს საკონცენტრაციო ბანაკები, განთავისუფლებულ იქნან პოლიტიკური პატიმრები და აღდგენილ იქნას პოლიტიკური თავისუფლებანი. მეორე, ამ განხილვის მიზანი უნდა იყოს პროტექტორატის რეჟიმის არა ნაწილობრივ შეცვლა, არამედ ნამდვილი პროგრესული რეფორმების განხორციელება — საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული ეროვნული კრების მოწვევა; ამ კრების მიერ არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა; დაცვა პრინციპისა „ტუნისს უნდა მართავდნენ ტუნისელები“.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი

ციურიხი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მ. ბოტვინიკთან მატჩს პრეტენდენტთა საჰადრაკო მატჩ-ტურნირის 29-ე, უკანასკნელსწონა ტურში მალე ყაიმით დამთავრდა სმისლოვნაიდორფისა და შტალბერგ-ეივენს შეხვედრები. გაცხოველებული ბრძოლის შემდეგ აგრეთვე ყაიმით დამთავრდა კოტოვ-ავერბახის, გელერ-პეტროსიანისა და კერეს-ტალმანოვის პარტიები. ბოლესლავსკიმ წააგო სამოსთან. რეშევსკიმ მოუგო გლიგორიჩს.

ამრიგად, გუშინდელ ტურში დამთავრდა ყველა შეხვედრა.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტურის წინგადადებული პარტიების გათამაშება, რაც განაზღვრავს მონაწილეთა მდგომარეობას სატურნირო ცხრილში.

ახლა წინ არის სმისლოვი, რომელსაც აქვს 17,5 ქულა, რეშევსკის აქვს 15,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ბრონშტეინსა და კერესს — 14,5 ქულა თვითეულს და თითო გადადებული პარტია. პეტროსიანს აქვს 14,5 ქულა.

სპორტის ამჭვეტნელი ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

თბილისელ სპორტის მოყვარულებს არაერთხელ სმენიათ უნგრელ ფეხბურთელთა მაღალ ოსტატობაზე, მათს ბრძოლისუნარიანობაზე, თამაშის შესანიშნავ ტექნიკაზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სტუმრად მყოფ უნგრეთის დოჟას სახელობის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივების საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეს ასპარეზობა გაიმართა 22 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. მეგობართა — უნგრეთის დოჟას სახელობის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების გამოჩენას მოედანზე ათეულ ათასობით მაყურებელი გულთბილად შეხვდა. სტუმრებს მრავალი თაიგული მიუძღვნეს. უნგრელ ფეხბურთელებს მიესალმა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. ბ. კვინიხიძე. სალამურ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უნგრეთის სასპორტო დელეგაციის მეთაური დ. კაკონა. ეღირს უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები.

პირველი წუთებიდანვე მაყურებელთათვის აშკარა გახდა, რომ თბილისელ ფეხბურთელებს ძლიერ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე. სტუმრებმა იერიშები მარჯვენა ფრთიდან დაიწყეს, რასაც გუნლის კაპიტანი მარჯვენა გარემარბი ბ. ეგრეში მეთაურობდა.

მე-8 წუთზე უნგრელთა მიერ გათამაშებული კომბინაცია შუამარის ი. ვირაგის დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა. დინამოელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში. მე-12 და მე-13 წუთზე მათ ვერ ისარგებლეს 2 კუთხური დარტყმით.

30-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან სტუმართა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა ღოღობერიძე. უნგრელები სარმისათვის დაჯარიმდნენ. თბილისელთა გუნდის კაპიტანმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. 3 წუთის შემდეგ ბ. ეგრეშმა მეორე ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა უნგრელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

მეორე ტაიმის მე-17 და 22-ე წუთებზე ზ. კალოევმა (№ 9) და გ. აშპირანმა (№ 10) თითო ბურთი გაიტანეს. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დამთავრდა უნგრეთის დოჟას სახელობის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

უნდა აღინიშნოს, რომ უნგრელი ფეხბურთელები შესანიშნავად ფლობენ ბურთს. საერთო მოწონებას იმსახურებს მათ მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაციები, მოკლე და ზუსტი გადაცემები, ადგილების შესანიშნავი შერჩევა.

დინამოელებმა ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა სუსტად ჩაატარეს.

ვ. გაგელია.

გუდაუთის ცხენოსანთა კოლექტივი — საქართველოს ჩემპიონი

დამთავრდა საქართველოს XI პირად-გუნდური ჩემპიონატი ცხენოსნობაში. როგორც ცნობილია, უძლიერესთა ასპარეზობა 9 გუნდის მონაწილეობით მიმდინარეობდა ფოთის იპოდრომზე. პირველობის გათამაშებამ 10 დღეს გასტანა.

განლილმა ასპარეზობამ ცხადყო, რომ ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად მებრძოლი გუნდები უკეთესად მომზადებული აღმოჩნდნენ, ვიდრე გასულ სასპორტო სეზონში. მრავალმა ცხენოსანმა საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა. ცხენები კარგად იყო გაწვრთნილი.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეებში ცხენოსნები პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მრავალჭიდში, ისინდში, ცხენბურთში, უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში, ჩეხვაში და ცხენოსნური სპორტის სხვა სახეობაში.

ჩეხვაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა გუდაუთელმა სპორტსმენმა მ. კვარაცხელიამ. ყაბახში საქართველოს ჩემპიონი გახდა ცხაკაიას რაიონის ცხენოსანი ხ. ბარამია.

თავიდანვე ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ გუდაუთისა და თბილისის სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ გუნდები. ვრავალდღიან მძაფრ ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა გუდაუთის რაიონის ცხენოსანთა კოლექტივი, რომელიც თავის რიგებში საუკეთესო მხედრებსა და ცხენებს ითვლის.

გუდაუთის ცხენოსანთა გუნდმა საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მიიღო გარდამავალი ჯილდო — თასი, პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქრები. მეორე ადგილი დაიკავა თბილისის „სპარტაკის“ ცხენოსანთა კოლექტივმა. ჯილდოები მიიღეს აგრეთვე პირად პირველობაში გამარჯვებულმა ცხენოსნებმა.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მოღვაწეები თბილისში

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით თბილისს ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები იოსებ ჰუაინიგი, ვოლფგანგ ჰაინეი, ალფრედ ული, ფელიქს მახაჩკი, მარსელ რუბინი, პაულ პირკერი, ვილჰელმ ტეპსერი, ბენედიქტ ფრაიშტადტი, რიგობერტ ფუნკე-ელბშტადტი. დელეგაციას მეთაურობს ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ავსტრიის პარლამენტის წევრი კარლ ლუგმაიერი. მოსკოვიდან თბილისამდე სტუმრებს თან ახლდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. კარბელაშვილი.

თბილისის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი ნ. ჯავახიშვილი-ქომახიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ყენტი. ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრებმა პირველ დღეს დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. (საქდესი).

სემინარი, ლექცია

23 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე ლ. კეკუხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება სემინარი ს. კ. კ. პ. ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების მეორე წელი) თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ვ. მირიანაშვილი.

23 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე პარტიის ქ. თბილისის გარეუბნის რაიკომის ბიბლიოთეკაში პროფესორი ნ. იაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის საბრძოლო ამოცანები“.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 4 ნოემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბორის გრიგოლის-ძე ნანიტაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მომზადების შესახებ“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი პ. **გუგუშვილი**, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **გ. გამსახურდია**, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **გ. გვეშიანი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (1 საშტატო ერთეული).
2. მთას იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (1 საშტატო ერთეული).
3. სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (1 საშტატო ერთეული).

განცხადებები და სათანადო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული).

კონკურსის ვადაა 10 დღე დღიდან მისი გამოცხადებისა.

სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს კლუბში (კამოს ქ. № 37, მე-4 სართული) 1953 წლის 24 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე გაიხსნება სატყეო მრეწველობის და სატყეო მეურნეობის **ინჟინერ-ტექნიკოსთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კონფერენცია.**

კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 23-24 ოქტომბერს „გრუზნიტოლესში“ (კამოს ქ. № 37, მე-4 სართული, ოთახი № 33) დილის 10 საათიდან საღამოს 18 საათამდე, ტელეფონი № 3-21-79.

მოქალაქე **რუზანა კარაპეტის ასულმა ესიტაშვილმა,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 93, აღძრა საქმე მარჯანიშვილის ქ. № 39 მცხოვრებ მოქალაქე **დავით ოსეფის-ძე ესიტაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **შავეშ ილიას-ძე უტოევმა,** მცხოვრებმა არდონის ქ. № 60, აღძრა საქმე თამარ-შენის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ნიგიაზ დავრეშის ასულ უტოევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

23 ოქტომბერს	ჟ. ბიზე — **კარმენი**
24 ოქტომბერს	დ. თოოადი — **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სირკი

23, 24 და 25 ოქტომბერს

ჩინეთის და კორეის საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოსათხოვარი გასტროლები

და დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში.

თბილისის მარმარილოს გადამამუშავებელი ქარხანა მოსახლეობაზე ჰყიდის მარმარილოს სხვადასხვა ზომისა და ფერის ნაწარმს: ნამცეცს, ფიცრებს მრგვალი მაგიდისა და პირსაბანისათვის, დაფებს და სხვ., ავრეთვე იღებს მარმარილოს სხვადასხვა სახის ძეგლების შეკვეთებს.

მისამართი: თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 4, ტელეფონი № 3-46-50.

საქართველოს სარეწაო საბჭოსთან არსებული მცხეთის კერამიკული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა **დამატებით მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის.**

სკოლა ამზადებს საშენი მასალებისა და მხატვრული კერამიკის ოსტატებს.

სკოლაში ჩაირიცხებიან 15-დან 35 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლების ვადა განისაზღვრება ერთი წლიდან ორ წლამდე: ა) საშენი მასალების ოსტატთა კურსი — ერთი წელი, ბ) მხატვრული კერამიკის ოსტატთა კურსი — ორი წელი.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ცნობა განათლების შესახებ, ჯანმრთელობის ცნობა, დაბადების მოწმობა, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ტანსაცმლით, ბინით, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ნივთებით. განცხადებების მიღება 25 ნოემბრამდე.

შენიშვნა: ა) საშენი მასალების ოსტატთა კურსზე მიიღებიან 6 კლასის განათლების მქონენი.

ტბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის X³ კლასის მოსწავლეები იუწყებიან **ნიკოლოზ ვასილის-ძე ბანუკოვის** გარდაცვალებას.

შვილები კესარია, მარიამ, ეკატერინე, ალექსანდრე. არკადი, რძლები მარო, ეკატერინე, **შვილიშვილები** ჯუმბერ, ბესიკ, თეიმურაზ **ჯორბენაძეები** იუწყებიან **ელპიდი ალექსანდრეს